ეს „რევოლუცია“ უპირველესად სიკვდილის შესახებ არსებული ფსიქოლოგიური შეხედულებების, მათ შორის სიკვდილის მიმართ შიშის არსებობის, რევიზიას მოიცავს. ამ თვალსაზრისით ეტყობა მართალი იყო იუნესკოს მიერ აღიარებული ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა, რომლის მეცხრამეტე საუკუნის სიტყვები „სიკვდილის ყველას გვეშინის, სხვას ჰკლავენ ცქერა გვწადა“ არ მიუთითებს ამ შიშის უშუალოდ მომაკვდავში არსებობას. უფრო მეტიც, ღირის სიტყვები რომ გავიხსენოთ, ჩვენ, თუმცა „ესტრიტ დაბადებისას,“ მაგრამ ერთგვარი სიამოვნების შეგრძნებით ვსტოვებთ, „მასხარებით სავსე ამ სცენას“. საქმე ის არის, რომ სიკვდილის შესახებ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დღემდე წარმოებული ჩვენი შრომები მიუთითებენ კვდომის პროცესისას ორგანიზმში ენდორფინების და სიამოვნების აღმძვრელი სხვა ნაერთების გაძლიერებულ გამოყოფას. ამას ეტყობა ტკივილი, ჟანგბადის დეფიციტი და კვდომის პროცესთან ასოცირებული სხვა ფაქტორები უწყობენ ხელს. ეს კი მომაკვდავის „ნირვანის“ მსგავს მდგომარეობაში გადაყვანას იწვევს. ასე რომ, თუ კი კვდომის პროცესი საშინელების ნაცვლად სასიამოვნო განცდას წარმოადგენს, მაშინ მით უფრო ადვილად ასატანი ხდება თავად სიკვდილიც, რომლის დროსაც, მართალია სასიამოვნო შეგრძნებები აღარ არსებობენ, მაგრამ არც უსიამოვნო შეგრძნებებისთვის რჩება ადგილი. ამ თვალსაზრისით ეტყობა სწორად მსჯელობდა ახლახან გარდაცვლილი ქართველი კინორეჟისორი გ. ჩოხელიც, რომლის საფლავზე წარწერილი მისივე სიტყვები მკვეთრ ზღვარს არ ავლებს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და ორივეს სევდად მიიჩნევს: ადამიანად ყოფნის ტკბილ სევდად და ადამიანად არ ყოფნის სევდად.

სიკვდილის შესახებ არსებული „რევოლუციური“ ხედვის შემდეგი სპექტრი უკავშირდება ადამიანთა შეგრძნებაში საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული შეხედულებების რევიზიას სიკვდილის ერთგვაროვნების შესახებ. სიკვდილის შემადგენლობაში ყველაზე მარტივი მიდგომით შესაძლოა გამოვყოთ „ცრუ“ და „ჭკმმარიტი“ სიკვდილი. „ცრუ“ სიკვდილის მაგალითად ფ. პეტრარკა გამოდგება, დასაფლავებამდე ოთხი საათით ადრე

განსასვენებლიდან წამომდგარმა თავისი სონეტების საუკეთესო ნაწილი სიკვდილის შემდეგ ოცდაათ წლიან სიცოცხლეში რომ შეჰქმნა. მსგავსია „დისქოვერის“ სატელევიზიო არხზე მოთხრობილი აშშ მღვდლად ნაკურთხი ქართველი გ. როდონაიას შემთხვევაც,სამი დღის გარდაცვლილი პათოლოგ-ანატომიური გაკვეთისას რომ „გაცოცხლდა“. ეტყობა „ცრუ“ სიკვდილი, სიცოცხლის ტერმინალური ფორმაა, რომლის დროსაც სუნთქვისა და სისხლისმიმოქცევის ფუნქციები ასე თუ ისე შენარჩუნებულია, მაგრამ გარშემომყოფთა გამოუცდელიობის, უყურადღებობის თუ სხვა მრავალ მიზეზთა გამო პიროვნების მკვდრადმიჩნევა ხდება.ამ თვალსაზრისით ერთგვარი ანალოგი შესაძლოა 1940 წელს ეკრესტნმერის მიერ აღწერილ „ვეგეტატიურ კომასთან“ გატარდეს.მაგრამ ამ დროს თავის ტვინის ფუნქცია მხოლოდ ნაწილობრივ და არა სრულად არის ჩამქრალი, ამიტომ ამგვარი მდგომარეობის სიკვდილად მიჩნევა არასწორია და ის „ახალ“ სიცოცხლედ უნდა იყოს აღიარებული, რაც შეეხება „ჰემარიტი“ სიკვდილს ის შესაძლოა დაეყოს ხილული „მატერიისა“ და უხილავი „სულის“ სიკვდილად. პირველს მიეკუთვნება „ხანმოკლე“, „განუხრწელი“ და „მიწისმიერი“ სიკვდილი. „ხანმოკლე“ ანუ „დროში შეზღუდული“ სიკვდილის ყველაზე გავრცელებული ფორმა „კლინიკური“ სიკვდილია. ეს უკანასკნელი „ჰემარიტი“ სიკვდილის საწყისია და გამოვლინებითაც არ განსხვავდება მისგან. სახელდობრ ამ ფორმის სიკვდილისას არსებობს სხეული, მაგრამ არ არსებობს ფუნქცია, თუმცა შესაძლებელია ყველა ფუნქციის, მათ შორის თავის ტვინის ფუნქციის სრულყოფილი აღდგენა. სიკვდილის ეს ფორმა პირველად ბიბლიაში არის აღწერილი, წინასწარმეტყველელისეის მიერ შუნამელი ყრმის გაცოცხლების სახით.ელისეი წმინდა ილია წინასწარმეტყველის შეგირდად თვლიდა თავს და ზეცაში აღვლინების წინ შესაძლებლობის ნახევარი გამოსთხოვა მასწავლებელს.გაცოცხლებისას „ის ზემოდან დააწვა ბავშვს, პირი პირზე დაადო, თვალი თვალზე, ხელის მტევნები ხელის მტევნებზე და გათბა ბავშვის სხეული“. შემდეგი შემთხვევა ეკუთვნის ქრისტეს, რომელმაც ჯერ შვიდი დღის მკვდარი ლაზარე აღადგინა სიტყვებით, „ლაზარე გამოდი“, ხოლო შემდეგ სამი დღის მკვდარი საკუთარი სხეული იხსნა. სამედიცინო სფეროში ცნობილი პირველი ამგვარი აქტი ნორვეგიის ქალაქ ტრასიოს ექიმმა ნ. იგელსრუდმა განახორციელა 1801 წელს წყალში დამხრჩვალის გაცოცხლების სახით და ეს შემთხვევა ფილადელფიის სამედიცინო გაზეთში იყო აღწერილი. „კლინიკური“ სიკვდილის ხანგრძლიობა ჩვეულებრივ პირობებში ხუთ წუთს არ აღემატება და „მიწისმიერი“ სიკვდილში ტრანსფორმირდება.იმის გამო,რომ ამგვარად ხანმოკლე დროის განმავლობაში ხშირად ვერ ხერხდება რეანიმაციული ღონიძიებების დაწყება,ადამიანთა უმრავლესობა დღესაც ისევე იღუპება,როგორც ცივილიზაციის დასაწყისში – რეანიმაციის გარეშე.ფიქრობდნენ,რომ ამ „მაგიური“ ხუთი წუთის გადალახვა შეუძლებელი იყო,რადგანაც დროის ამ მონაკვეთში სისხლისმიმოქცევის შეწყვეტის შედეგად კვდებოდნენ თავის ტვინის ქერქის უჯრედები. სიკვდილის შესახებ წარმოებულმა ჩვენმა შრომებმა უჩვენეს,რომ ადამიანის ორგანიზმში,მათ შორის თავის ტვინის უჯრედებში, სიკვდილის დადგომიდან პირველი ათი-თხუთმეტი და მეტი დროის შემდეგაც განვითარებული ცვლილებები შექცევადია და ხუთ წუთზე მეტი დროის გასვლის შემდეგ ადამიანის სრულყოფილი აღდგენა ვერ ხერხდება არა იმიტომ,რომ ეს შეუძლებელია,არამედ იმიტომ,რომ არსებული ტექნოლოგიები არ იძლევიან ამის საშუალებას..

„დროებითი” სიკვდილის მეორე ფორმა „ახალი” სიკვდილი უტვინო მდგომარეობაა და „თავის ტვინის სიკვდილს” წარმოადგენს. თითქოსდა მარტივია და დღეს განცვიფრებასაც კი იწვევს სუნთქვის, სისხლისმიმოქცევის და უტვინო მდგომარეობის სიკვდილის აქტთან დაუკავშირებლობა, მაგრამ ფაქტია, ლაზარეს გაცოცხლებიდან კაცობრიობას 16 საუკუნე დასჭირდა, რომ აგეზალიუსს „ადამიანის აგებულების შესახებ” 1544 წელს გამოცემულ შრომათა კრებულში სიცოცხლის პრიმატულ ნიშნად სუნთქვის ფუნქცია მიეჩნია. ხოლო კიდევ ერთი საუკუნე იყო საჭირო რომ უ. ჰარვეის ინგლისის მეფისადმი 1628 წელს გაგზავნილ წერილში სიტყვებით „ადამიანის გული მზეა მისი მიკროკოსმოსისა” სისხლის მიმოქცევა ეღიარებინა სიცოცხლის აუცილებელ პირობად. უფრო მეტიც, აქედან მოყოლებული კიდევ სამი საუკუნე უნდა ეცხოვრა კაცობრიობას, რომ ჰ. მოლბერტსა და მ. კულონს 1959 წელს „Le cama depase”-ს სახელით ადამიანის თავის ტვინის სიკვდილი აღეწერათ შემთხვევების კანონიკურ ჩარჩოებში მოქცევა კი ჯერ 1967 წელს კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს პიუს XII ეცადა, ხოლო შემდეგ, 1968 წელს, ჰარვარდის სამედიცინო აკადემიას, რომელმაც ინდივიდის სიკვდილად გულისა და სუნთქვის ფუნქციების შეუქცევადი შეწყვეტის გარდა თავის ტვინის ყველა სტრუქტურის, თვით თავის ტვინის ღეროს ჩათვლით, ფუნქციის შეუქცევადი შეწყვეტა აღიარა. ამ ფორმის სიკვდილისას სხეული არსებობს, თავის ტვინის ყველა ფუნქცია ჩამქრალია, სუნთქვა პროტეზირებულია და ხელოვნური სუნთქვის აპარატით მიმდინარეობს, სისხლის მიმოქცევა და სხვა ფუნქციები კი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ან წამლებით წარმოებს. საგულისხმოა, რომ სიკვდილის ამ ფორმის ხანგრძლივობა საშუალოდ რამდენიმე დღეა, იშვიათად რამდენიმე კვირა და ან თვე და ის საბოლოოდ „მიწისმიერ” სიკვდილში ტრანსფორმირდება.

„ტემპარტი” სიკვდილის შედეგი ფორმის „განუხრწნელი” სიკვდილის უმთავრესი ნიშანიც ყოველგვარი ფუნქციის არ არსებობაა სხეულის არსებობის დროს. თუმცა ეს სხეული გარეგანულად მნიშვნელოვნად განსხვავდება „კლინიკური” სიკვდილის დროს არსებული სხეულისგან, რადგან მოკლებულია ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელ სიცოცხლისმიერ სითბოს და ელასტიურობას. ამ ფორმის სიკვდილის ყველაზე ნათელი მაგალითი ბურიატიის სოფელ ივოლგის დაცანის მეთორმეტე ლამას სიკვდილია. ეს კაცი, რომელიც პანდიტო ხამბა დაშა დორჯო იტეგილოვის სახელით იყო ცნობილი, 75 წლის ასაკში „გლოტოსის“ პოზაში მოიცვალა ნირვანის აღსრულების დროს. ამ დღიდან 75 წლის შემდეგ კი, 2002 წელს, ანდერძის თანახმად სხვა ლამებმა მისი სარკოფაგი გახსნეს და პანდიტოს განუხრწნელი სხეული იხილეს. შემდეგში ის ისევ დაცანში დააბრუნეს და მისი ხილვის უფლება მსურველებს წელიწადში შვიდჯერ ბუდისტთა დიდი დღესასწაულების დროს დართეს. სიკვდილის ამ სახესთან ერთგვარად ასოცირდება „მუმის” სიკვდილი და ის „განუხრწნელი” სიკვდილის სხვა ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ. ხეოფსის, ხეფრენის და სხვა პირამიდებს მილიონობით ადამიანი აშენებდა, მაგრამ მუმიად ქცევის და პირამიდების ლაბირინთებში განსვენების პატივი მხოლოდ ფარაონებს და მათი ოჯახის წევრებს ჰქონდათ. პირამიდების დანიშნულების შესახებ მრავალი ჰიპოთეზა არსებობს და მათ შორის აღბათ იმ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება, რომელიც ამ პირამიდების ფუნქციას პირდაპირი დანიშნულებით, ფარაონთა მუმიად ქცეული უმწეო სხეულის დამცავ საშუალებად განიხილავს. ფარაონებს, რომლებიც სხვა პლანეტებიდან მოვლენილი „ღმერთების” შთამომავლად თვლიდნენ თავს, თავიანთ პლანეტაზე მიბრუნებული წინაპრებისაგან ეტყობა

დატოვებული ჰქონდათ ცოდნა მკვდრის გაცოცხლების შესახებ. შემდეგში ამ ცოდნის დეტალები ალბათ დაიკარგა და ფარაონებს მხოლოდ მისი ფრაგმენტები დარჩათ სხეულის შენახვის წესის სახით, რომელსაც კიდევაც იყენებდნენ საკუთარი გვამის შესანახათ უკანმოზრუნებულ უცხოპლანეტელებს რომ გაეცოცხლებიათ. საგულისხმოა, რომ ამ თვალსაზრისით მეთორმეტე ლამა ან ეგვიპტელი ფარაონები გამონაკლისს არ წარმოადგენენ. მართლმადიდებელ და სხვა ეკლესიებს იმის უამრავი მაგალითი გააჩნიათ თუ როგორ ინახება საუკუნეების განმავლობაში განუხრწნელად სხვადასხვა წმინდანთა წმინდა ნაწილები, რომელთა მეშვეობითაც მათი მფლობელების სხეულის კვლავწარმოების საკითხი შეიძლება დადგეს. ყოველ შემთხვევაში ამგვარი მიდგომით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ცოდნა, რომელიც ფარაონებს ჰქონდათ, შემდეგ ეპოქაში კი არ დაიკარგა, არამედ განვითარდა და იმ დონეს მიაღწია, რომ სხეულის აღსადგენად მისი ცალკეული ნაწილებიც კი საკმარისი გახდა. უფრო მეტიც, ამისთვის არც პირამიდების აშენება და მუმიფიცირების პროცესის მართვა იყო საჭირო, მათ შორის არც თხევად აზოტში სხეულის გაყინვისა, რომლის ერთგვარ „ბუმს“ კრიონიკის სახით უკანასკნელ წლებში აქვს ადგილი შემძლეა ყოველთა შორის. ამისთვის შესაძლოა მხოლოდ ქართული ენის სრულყოფილი შესწავლა იყოს საკმარისი, რომლის წიაღშიაც ადრეული ფეოდალური ხანის მწიგნობრის იოანე ზოსიმედყოფილის მტკიცებით „დამარხულ არს ამა ენასა შინა საიდუმლო ყოველი“. თუმცა ქართული ენის შესწავლის იმგვარ სრულყოფილებას, რომ ეს საიდუმლო ამოეცნო, დღემდე ვერავინ მიაღწია.

რაც შეეხება „ჰემმარიტი“ სიკვდილის შემდეგ ფორმას – „მიწისმიერ“ ანუ „ძველ“ სიკვდილს, ამ შემთხვევაშიც სხეული კვლავ ყოველგვარი ფუნქციის გარეშეა დარჩენილი, მაგრამ მას თან ახლავს „გვამური ლაქები“, „გვამური გაშეშება“ და სხვა ნიშნები, რომლებსაც დროთა განმავლობაში სხეულის გახრწნა მოჰყვება. იმის გამო, რომ ამჟამად „homo moralis“-ად „გადატვირთული“ ჩვენი ცივილიზაციის წარმომადგენლები ამ მკვდარ სხეულს „homo sapiens“-ის მსგავსად კვლავ წვავენ, ან წყალს ატანენ, ან კიდევ მიწაში ფლავენ, ის საბოლოოდ მაინც მიწა ხდება და ყოველივე ისე მიემართება, როგორც ეს საუკუნეების წინ ასახა ეკლესიასტემ სიტყვებში: „მოიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული უბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შექმნა“.

დღეისათვის სიკვდილის თეორიაში ყველაზე სუსტად დამუშავებული საკითხი „სულის“ სიკვდილია. უფრო მეტიც კლასიკური მეცნიერების მსჯელობის უდავო საგანი მხოლოდ მატერიის სიკვდილია. რაც შეეხება სულს არა თუ მისი სიკვდილის, არამედ თავად სულის არსებობის საკითხიც ამ მეცნიერების გარეთ დგას. ამ თვალსაზრისით ერთგვარი ინტერესი გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკელი რ.მოუდისა და სხვების მონათხრობებმა გამოიწვიეს გაცოცხლებულ ადამიანებში „კლინიკური“ სიკვდილისას აღმოცენებული ხილვების შესახებ. ეს უმთავრესად ეხება ამ მდგომარეობების სასიამოვნო შეგრძნებებთან ასოცირებას, უწონადობის აღქმას, სულის სხეულიდან ამოსვლის აქტს, გატარებული ცხოვრების ამსახველი კადრების „კინოქრონიკას“, საგნების „გადმოზრუნებული“ პროექციით ხედვას, საკუთარი სხეულის რეანიმაციის ჭკრეტას, გაურკვეველი ბუნების ხმების მოსმენას, ბნელით მოცულ გვირაბში გზის გაკვალვის მცდელობას, რომლის ბოლოშიც თეთრად მოკაშკაშე სინათლე ჩანს და სხვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული შრომებისას ამგვარ ადამიანთა აბსოლუტურ უმრავლესობას „კლინიკური“ სიკვდილის დროს გადატანილი მოვლენების

შესახებ სრული „ამნეზია“ ჰქონდათ და მხოლოდ პაციენტთა 4-5% თუ იხსენებდა მეტ-ნაკლებად მსგავს სურათებს, ისიც ცალკეული ფრაგმენტების სახით. ამასთან უფრო ღრმა ანალიზით ჩანდა, რომ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ეს სურათები თავის ტვინში გაკეთებული იმ „ჩანაწერების“ ილუზორულ და გაუკუღმართებულ რეპროდუქციას წარმოადგენდნენ, რომელსაც ამ პაციენტის თავის ტვინი „იწერდა“ კვდომის და გაცოცხლების დროს, როდესაც თავის ტვინის სისხლის მიმოქცევა და ქანგბადით უზრუნველყოფა მეტნაკლები სისრულით იყო აღდგენილი. ცხადია, ამ თვალსაზრისით გარკვეულ როლს ის მედიკამენტებიც ასრულებენ, რომლებსაც კვდომის და გაცოცხლების პროცესში სულ სხვა მიზნებით იყენებენ, მაგრამ თავის ტვინის ფუნქციის გაუკუღმართებაც შეუძლიათ. უფრო მეტიც, აქ არც „სინესთეზიის“ ფენომენის აღმოცენებაა გამორიცხული, როდესაც ერთი ანალიზატორისთვის სპეციფიური სიგნალის აღქმა ამ სიგნალისთვის არასპეციფიური მეორე ანალიზატორით ხდება. ამ დროს ბგერა „დანახვით“, სუნი „მოსმენით“, ფერი „გემოდ“ და სხვა შეგრძნებების სახით აღიქმება. ეს კი ტვინის ფუნქციის შეცვლას იწვევს. ხოლო რაც შეეხება სასიამოვნო შეგრძნებების აღმოცენებას, ეს კვლავ ენდორფინების, ენკეფალინების, სასქესო ჰორმონების და სიამოვნების აღმძვრელი სხვა ნივთიერებების სიჭარბით აისხნება. სულის სხეულიდან ამოსვლის აქტის ხილვა კი მარტო „კლინიკური“ სიკვდილისთვის არ არის დამახასიათებელი. ეს ხშირად აღენიშნებათ ეპილეფსიით, აგრეთვე შიზოფრენიით დაავადებულ ავადმყოფებს და შეიმჩნევა ტვინის ზოგიერთი სტრუქტურის სხვადასხვა სახის იმპულსით გაღიზიანების დროსაც. საგნების „გადაბრუნებული“ აღქმა კი მხედველობის ანალიზატორის ოპტიკური აპარატის იმგვარ მოწყობას უკავშირდება, რომელიც ჩვეულებრივ ამ საგნებს მართლაც „გადაბრუნებული“ სახით ხედავს. მათი „გადმობრუნების“ კორექციას თავის ტვინის ქერქის უჯრედები ახდენენ. ეს უკანასკნელი კი, როგორც უფრო ნატიფი ფუნქცია, ეტყობა, სხვა ფუნქციებზე ადრე წყვეტს გამოვლინებას. იგივე ეხება მხედველობის ველის დავიწროვებას და „მილისებური“ მხედველობის შენარჩუნებას. ამგვარი სახის მხედველობის აღქმას მხედველობის ანალიზატორის ის უბნები განსაზღვრავენ, რომლებიც კეფის წილის მე-17 ზონაში არიან მოქცეულნი და რომლებიც სისხლით სხვა უბნებთან შედარებით უკეთ მარაგდებიან ტვინის შუა და უკნა არტერიებიდან და აქედან გამომდინარე ამ ფუნქციასაც უფრო დიდხანს ინარჩუნებენ. ასევე ცნობილია, რომ მხედველობის ანალიზატორის ცალკეულ უბნებს აქვთ ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობა, რის გამოც სინათლის გაუფერადებელი, ნაკლებად ნატიფი თეთრი ფერების აღქმა ზოგჯერ ტვინის ღეროშიც შეიძლება მოხდეს. ეს კი სწორედ ის არადიფერენცირებული თეთრი კაშკაშა შექია, რომელიც მე-17 ზონის უჯრედებით „დანახული“ ბნელი გვირაბის ბოლოს ჩანს. რაც შეეხება გაურკვეველი სახის ბგერებს, რომელიც თითქოსდა „კლინიკური“ სიკვდილისას ესმით, ეს უკანასკნელიც სმენის ანალიზატორის სხვადასხვა უჯრედების ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის უნარს უკავშირდება. მით უმეტეს, რომ ცალკეულ ბოჭკოთა გამოთიშვისას ინფორმაცია თავის ტვინის ხიდში შეიძლება გატარდეს და სხვა ბოჭკოებითაც იქნეს აღქმული. ეს ფაქტი ერთგვარად ასოცირდება შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზში მცხოვრები ტომების, მათ შორის კოლხების უკვე დავიწყებულ ჩვევასთან, მკვდრის ხმამაღალი „შეცხადების“ შესახებ. ამით ისინი თითქოსდა „ცდილობდნენ“ ზემოქმადი ბგერების მეშვეობით სმენის ანალიზატორის გაღიზიანებას და მკვდარი ტვინის გაცოცხლებას. სამწუხაროდ, ისევე როგორც ამ უკანასკნელი მეთოდის

ეფექტურობა დაუდასტურებელი მკვდრის გაცოცხლების დროს, ასევე საჭოჭმანო რ.მოუდისა და მისი მიმდევრების მიერ ადამიანის სულის არსებობის ჭეშმარიტების ამგვარი მონათხრობების მეშვეობით მტკიცება. იგივე უნდა ითქვას ცალკეულ მკვლევართა მცდელობებზე სხეულიდან ამოსული სულის „აწონვის“, მისი სპექტრის „ფოტოგრაფირების“ თუ სხვა საშუალებებით სულის იდენტიფიცირების შესახებ. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ ისევ გასული საუკუნის მიწურულს გარდაცვლილი ქართველი ბერის, მამა გაბრიელის სიტყვების ამარა ვრჩებით: „ჭეშმარიტებაა სულის უკვდავება“.

სულის შესახებ არსებული ინფორმაცია მწირია სხვადასხვა კონფესიათა თეოლოგიურ მეცნიერებებშიც. თუმცა სხეულში სულის არსებობას და სიკვდილისას ამ სულის სხეულიდან გამოცალკავების აქტს ადასტურებს ყველა მათგანი. მეტიც, მათი ანალიზისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ღმერთი ერთია და ღმერთისკენ მიმავალი გზებია სხვადასხვა. მეტ-ნაკლებად მსგავსი შეხედულებებია ამ სულის სხეულიდან ამოსვლის შემდგომი ბედის შესახებ. ვარაუდობენ, რომ სული არა ერთი, არამედ რამდენიმე ფორმით არის წარმოდგენილი, რომლებიც მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპებად განიხილება. თვლიან, რომ სულის განვითარება და მისი სხვადასხვა „დონეებზე“ ასვლა ხდება პატრონის სიცოცხლეში და დამოკიდებულია პატრონის ცხოვრების წესზე, აგრეთვე ამ მიმართულებით პატრონის მიერ გაწეულ მეცადინეობებზე. სულის ამ ფორმებიდან ყველაზე მარტივი „ფიზიკური“ სული ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს და ის ალბათ სხეულის სიკვდილთან ერთად კვდება. მომდევნო „ასტრალური“, „მენტალური“ და „კოსმიური“ ფორმები გარდაცვალებისას გამოეყოფიან პატრონს, თუ კი ასეთის შექმნა მან მოასწრო თავის სიცოცხლეში. სავარაუდოდ, დასაწყისში სული დედამიწის ირგვლივ ატმოსფეროში უნდა „ცხოვრობდეს“ და სხეულიდან ამოსვლის შემდეგ უპირველესად იმ ადგილებს უნდა სტუმრობდეს სადაც თავის დროზე ამ სხეულში იყო „გამომწყვდეული“. მიუთითებენ, რომ დამოუკიდებელი ცხოვრების მე-3 და მე-9 დღეს ისინი უფლის წინაშე წარსდგებიან განსასჯელად, ხოლო მე-40 დღეს „სინათლის დროით“ შემოსაზღვრულ ჩვენს სივრცეს სტოვებენ და იმ განზომილებისკენ მიისწრაფვიან სადაც როგორც ეს „ფილადელფიიდან მოჩანს“, წესრიგს „პასუხისმგებელი ბატონი“ ამყარებს. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ სხვა განზომილებაში მხოლოდ „კოსმიურ“ ფორმის დონემდე ამადლებული სული გადადის, რომლის შესაძლებლობები უსაზღვროა და უკვდავია, რაც შეეხება „მენტალურ“ სულის, „სინათლის დროით“ შემოსაზღვრულ კოსმოსში რჩება და ამ არეალში უდიდესი შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ ადრე თუ გვიან, ისიც კვდება ან სხეულის არჩევის უფლების მქონე რეინკარნაციას განიცდის. უფრო სუსტია სულის „ასტრალური“ ფორმა, რომელიც სავარაუდოდ მხოლოდ დედამიწის ატმოსფეროში „ბინადრობს“ და შედარებით ხანმოკლე დროის შემდეგ ან კვდება ან სხეულის ამორჩევის უფლების არმქონე რეინკარნაციას განიცდის. აღსანიშნავია, რომ ეს ერთგვარად ეწინააღმდეგება ქართული სახელმწიფოებრიობის უახლესი ისტორიის მამამთავრის ი.ჭავჭავაძის ფენომენალურ მიგნებას: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა“. თუმცა ყველაზე დიდი საიდუმლო მაინც ადრეული აღორძინების ხანის გენიის შ.რუსთაველის თავისი პოემის პერსონაჟისადმი მიძღვნილ სიტყვებში ჩანს დამალული: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მზისა წილი“. ადამიანის არსებობა „მზის“ გრემე მარტივი ასახსნელია, აუხსნელი აქ ის არის, თუ რატომაა საჭირო „მზისთვის“ ადამიანის არსებობა. ხომ არ იგულისხმება აქ „ენერჯის“ იმ უხილავი და

უცნობი ფორმის ურთიერთ გაცვლის აუცილებლობა, რომელიც ადამიანიდან „ფსიქიური ენერჯის“ ან „აზრის ენერჯის“ სახით „მოეფინება“ სამყაროს და მისი არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამას შესაძლოა ერთგვარი კავშირი ჰქონდეს სამყაროს 96%-იანი წილის მქონე უცნობ კომპონენტებთანც. ეს „ენერჯია“ ყველაზე უხვად ეტყობა კვდომისას, განსაკუთრებით კი უეცარი (ერთ წუთამდე) კვდომისას გამოიყოფა ორგანიზმიდან, ვიდრე ხანმოკლე (ერთ საათამდე) ან ხანგრძლივი (ერთ საათზე მეტი) კვდომის პროცესისას და იმდენად აუცილებელია, რომ ზოგჯერ ერთდროულად აღმოცენებული ასეულობით და ათასეულობით უეცარი სიკვდილიც კი უკმარისია „მოთხოვნილების“ დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში მხედველობაშია გლობალური კატასტროფებისას აღმოცენებული უეცარი სიკვდილის მასიური შემთხვევები, რომელთა დროსაც ჩვენს პლანეტაზე ექვსჯერ მეტი ადამიანია დაღუპული, ვიდრე ყველა სხვა სიკვდილისას ერთად აღებული. აქ ერთგვარი ასოციაცია ეკლესიასტეს იმ სწავლებასთანაც ასოცირდება, რომლის მიხედვითაც საბოლოოდ ყველას კვლავ ყველაფრის შექმნელი იბრუნებს, რაც არის ოსტატობა ენით აღუწერელი და საიდუმლო უდიადესი: შექმნა რომ დაიბრუნო. ახლა თუ ჰაილდერბერგერის იმ სწავლებასაც გავიხსენებთ, რომლის მიხედვითაც ჟ. პასკალის „უბადრუკ ადამიანს“ თავისი ნებით თავისივე ორგანიზმის ერთი ატომის ერთი ელექტრონის ერთი სტაციონარული მდგომარეობის შეცვლაც კი არ შეუძლია, მაშინ ამ საიდუმლოების სრულ ვერსიას კიდევ ერთი სიტყვა შეემატება: შექმნა, რომ მართო და დაიბრუნო. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პროცესის საბოლოო ციკლი კვლავ წარმოებასაც გულისხმობს, მაშინ კიდევ ერთი სიტყვის შემატება იქნება საჭირო – შექმნა, რომ მართო, დაიბრუნო და აწარმოო, რაც მოკლედ კვლავ წარმოებაა მართვისათვის. რაც შეეხება იმას, მიეცემა თუ არა, ან თუ მიეცემა როდის, ამ საიდუმლოს არსის ამოხსნის უფლება ადამიანს, ეს ერთმა მხოლოდ უფალმა იცის. ასე რომ ჩვენ დღემდე არ ვიცით, თუ როგორ მართო რომ კვლავ წარმოო და რატომ მართო, რომ კვლავ წარმოო. ყველა შემთხვევაში ასე ჩანს დღეს ფარდობით დროსა და ფარდობით სივრცეში წარმოდგენილი თავადაც ფარდობით განზომილებებიანი დედამიწიდან.

სიკვდილის რეკოლუციის შემდეგი ფურცელი სიკვდილის „დაბადებას“ ეკუთვნის. ადამიანის პირველი სიცოცხლე ღმერთის მიერ მიწის გუნდისგან მომზადებული ადამის სახით იყო წარმოდგენილი. სიცოცხლის შემდეგი მაგალითი ისევ ღმერთის მიერ იყო შექმნილი; ამ შემთხვევაში „უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და იმ ადგილას ხორცი ჩაუღო. ნეკნისგან ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა და ადამს მოუყვანა“. დღევანდელი მედიცინის თეორია შესაძლებლად მიიჩნევს დედად კაცის ყოლას, უფრო სწორად ამ ნეკნში არსებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებიდან ან ევას მსგავსის შექმნას. მეტიც, იმავე თეორიით ეს აქტი შესაძლოა თავად ნეკნის ძვლოვანი კარკასის შემაერთებელი ქსოვილის უჯრედებიდანაც კი მოხდეს, თავდაპირველად მათი ღეროვანი უჯრედებად ტრანსფორმაციის გზით. უფრო მეტიც სიცოცხლე შესაძლოა წარმოიშვას მკვდარი ორგანიზმის უჯრედებიდანაც, თუ რა თქმა უნდა ამ ორგანიზმის ცალკეულ უჯრედებს შენახული ექნებათ ცხოველქმედების უნარი. ასე რომ სიცოცხლე შესაძლოა წარმოიქმნას თავისთავისგან და მკვდრისაგან და დღევანდელი მედიცინისათვის თეორიულად არც ევას ნეკნიდან შექმნის, არც ფარაონების მუშიადქცეული სხეულის და არც წმინდანთა სხეულის ნაწილებიდან მათივე სხეულის სრული აღდგენის შესაძლებლობაა მიუღებელი. ამგვარად შექმნილი ადამიანის სიცოცხლე

კი იწყება ემბრიონის უჯრედების მიერ კვლავწარმოების ნიშნების გამოჩენიდან და მთავრდება თავის ტვინის ფუნქციის სრული ჩაქრობისას. აქედან იწყება სიკვდილი, რომელიც მთავრდება მკვდარი ადამიანის უკანასკნელი უჯრედის მიერ სიცოცხლის კვლავწარმოების უნარის დაკარგვისას. ასე რომ ადამიანის ცხოვრება მოიცავს დროს ემბრიონის პირველი გამოვლინებიდან მკვდარი ორგანიზმის უკანასკნელი უჯრედის მიერ სიცოცხლის აღდგენის უნარის დაკარგვამდე უფრო კონკრეტულად, ადამიანის ცხოვრება თავისივე ხატის კვლავწარმოებაა და გარკვეულწილად იმ აქტის ასლია, რომლის დროსაც უფალმა „თავის ხატად“ ადამიანი „გამოძერწა“.

სიკვდილის ჩამოყალიბების გზების განხილვისას უნდა ვიცოდეთ, რომ დედამიწის ყველაზე ხანგრძლივად მცხოვრები ადამიანი ფრანგი ჟანა კალმანი 122,4 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო ყველაზე ხანმოკლედ მცხოვრები ბიბლიური ნახორნი გარდაცვალების დროს 556 წლის იყო. ამის გათვალისწინებით დღემდე მომკვდარი ყოველი ადამიანის სიკვდილი „იძულებით“ სიკვდილად მოჩანს, მეტიც მეცნიერებამ დღეს არ იცის თუ როგორია „დროული“ სიკვდილის დრო. სიკვდილის ამ ფორმის გამომწვევი ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი ის ძალებია, რომლებიც მისი სასიცოცხლო ფუნქციების (სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის, აზროვნების) ჩაქრობას განაპირობებენ. ხშირად ეს ძალები ორგანიზმზე მოქმედებენ გარედან (მექანიკური ტრავმა, ელექტრული დენი, რადიაცია სითბო, სიცივე, ინფექციური აგენტები, შხამები და სხვა). ამასთან არ არის გამორიცხული ამგვარი “სასიკვდილო” ძალების აღმოცენება თავად ორგანიზმის შიგნით სხვადასხვა სახის მწვავე თუ ქრონიკულ დაავადებათა დროს თრომბოზის, სისხლდენის, ჟანგბადის დეფიციტის, თავისუფალი რადიკალების, ენდოტოქსინებისა და სხვათა სახით. ხშირია შემთხვევები, როდესაც სიკვდილის პროცესს იწყებენ გარედან მოქმედი, ხოლო შემდგომში მათ ორგანიზმის შიგნით აღმოცენებული ძალები ასრულებენ.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებისას, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოხერხდა მკვდარი და მომაკვდავი ადამიანების სისხლისგან მანმადე უცნობი 14კდ მოლეკულის მასის მქონე პოლიპეპტიდის გამოყოფა ([ინილე ვიდუი](#)). ამ უკანასკნელის მცირე დოზები ცვლიდა ინტაქტურ ლაბორატორიულ ცხოველთა (თაგვები) ქცევის წესს და უფრო აგრესიულს ხდიდა მათ. შედარებით მაღალი კონცენტრაციები კი რამდენიმე წუთში კვლავდა მათ, რასაც კრუნჩხვითი განტვირთვები და სუნთქვის გაჩერება უძლოდა წინ. ეს პოლიპეპტიდი აღმოჩნდა იმუნოსუპრესიული ეფექტით აღჭურვილი და იწვევდა T-ლიმფოციტების ფუნქციის, განსაკუთრებით კი სუპრესიის და მეხსიერების უნარის დათრგუნვას. ასევე ის იყო აღჭურვილი ციტოტოქსიური ეფექტით, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრად მუდგანდებოდა ნერვული სისიტემის უჯრედების მიმართ. ეს პოლიპეპტიდი იწვევდა აგრეთვე დნმ-ის რეპლიკაციის პროცესის დათრგუნვას. კვლევის სპეციალური მეთოდებით „სიკვდილის ფაქტორად“ მონათლული ეს პოლიპეპტიდი მცირე კონცენტრაციებში რეგისტრირდებოდა ჯანმრთელი ადამიანების სისხლშიც, თუმცა მისი რაოდენობა რამდენჯერმე იზრდებოდა კვდომის პროცესის დროს. ამასთან ის საკმაოდ სტაბილური ნაერთი აღმოჩნდა და ტოქსიურ თვისებებს ინარჩუნებდა 4°C ტემპერატურაზე 17 წლის შენახვის შემდეგაც. დადგენილი იქნა, რომ ამ პოლიპეპტიდის სინთეზს ახდენენ იმუნოკომპეტენტური T-ლიმფოციტები. აქედან გამომდინარე გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული კვდომის პროცესისას “იმუნური მეხსიერება” დაკარგული და სუპრესიის

ეფექტდამტკიცებული T-ლიმფოციტები იწყებენ ამ პოლიპეპტიდის ინტენსიურ სინთეზს, რაც თავის მხრივ აღრმავებს კვდომის პროცესის აღმოცენებულ პათოლოგიურ ცვლილებებს და ხელს უწყობს სიკვდილს. საგულისხმოა რომ დღემდე ადამიანთა შეგნებაში სიკვდილი ასოცირდებოდა ნგრევის, დაშლის და რღვევის პროცესებთან. შრომათა ეს ციკლი უჩვენებს რომ სიკვდილის ჩამოყალიბებაში სინთეზის, შენების და შექმნის პროცესებიც მონაწილეობენ, რაც იმას მანიშნებელია, რომ სიკვდილი გარკვეულ წილად ისევე “იბადება,” როგორც სიცოცხლე. სავარაუდოა, რომ გენები რომლებიც “სიკვდილის ფაქტორის” სინთეზს განაპირობებენ ჩვეულებრივ პირობებში რეპრესირებული არიან გენი სუპრესორების მიერ. ხოლო კვდომის პროცესისას მათი დერეპრესია და გააქტივება ხდება. ეს არის ერთგვარად “პროგრამირებული” სიკვდილი, მაგრამ ეს არ არის აპოპტოზი, რომელის დროსაც აპოპტოზის გამშვები გენების პროგრამის ამუშავება აპოპტოზის ექსტრა- და ინტრაცელულური მესენჯერების მიერ ხდება. მეტიც აპოპტოზისას ადგილი აქვს უჯრედის შეჭმუხვნას, მის ფრაგმენტებად დაშლას და ანთების ჩამოყალიბებლობას. „სიკვდილის ფაქტორის” ზემოქმედება კი უფრო ნეკროზის მსგავსი ცვლილებების და ანთების სურათის გაღრმავებით მიმდინარეობს. ამას გარდა ეს არის ორგანიზმის სიკვდილი, რომლის დროსაც მთავარი ფუნქციის ჩაქრობაა და არა უჯრედთა სიკვდილი. მითუმეტეს, რომ ორგანიზმში ემბრიონული პერიოდიდან მოყოლებული უამრავი უჯრედი იღუპება აპოპტოზის მეშვეობით და მოწიფულ ორგანიზმში მათი რაოდენობა ყოველდღიურად 50–70 მილიარდს აღწევს, ხოლო ყოველწლიურად დაღუპულ უჯრედთა წონა მთელი სხეულის წონის ტოლფასია. მათი ჩანაცვლება კი პროგენიტური პრეკურსორების მეშვეობით ხდება. ასე რომ, თუმცა ორგანიზმის სიკვდილს საფუძვლად სასიცოცხლო ფუნქციების ჩაქრობა უდევს და ამ უკანასკნელთა ჩაქრობასაც შესაბამის უჯრედთა დაზიანება განაპირობებს, ფუნქციის შეწყვეტა ყოველთვის არ არის პროპორციული მწიფობიდან გამოსულ უჯრედთა რაოდენობისა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ პროგრესი სიკვდილის წინააღმდეგ ომში შეუძლებელია მიღწეული იყოს ამგვარ სასიცოცხლო ფუნქციათა ჩამქრობი “სიკვდილის ფაქტორის” სინთეზის დამტკიცებელი და მისი ტოქსიური ეფექტის გამანეიტრალებელი საშუალებების შექმნის გარეშე. ასევე უდავოა უკვე დაზიანებული უჯრედებისა და ქსოვილების რეპარაციის პროცესების გაუმჯობესების აუცილებლობაც. საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენს მიერ მოხერხდა “სიკვდილის ფაქტორის” საწინააღმდეგო ანტიტოქსინის (ვაქცინის) და ანტიტოქსინის (იმუნოგლობულინის) კონსტრუირება. როგორც ერთი, ისე მეორე რეპარატი სრულყოფილად იცავდა ცხოველებს “სიკვდილის ფაქტორის” ლეტალური დოზების ზემოქმედებისგან. „ანტილეტალური” იმუნოგლობულინის მეშვეობით კი მოხერხდა ცხოველთა სრულყოფილი გაცოცხლება სიკვდილის დადგომიდან 10–15 წუთის შემდეგ და ბებერი ცხოველების სიცოცხლის მნიშვნელოვანი გახანგრძლივება. ამ საუკუნის დასაწყისში კი კვდომის და გაცოცხლების დროს დაზიანებულ უჯრედთა და ქსოვილთა რეპარაციის პროცესების გაუმჯობესების მიზნით ჩვენს მიერ შექმნილი იყო მოწიფულ ორგანიზმში პროგენიტური პრეკურსორების კომიტირების პროცესის სამართავი საშუალებები ნიტროგლიცერინის, პლაზმური სხივების, ელექტრული იმპულსების და სხვათა სახით. აღნიშნული საშუალებების სამკურნალო ეფექტი კი დადასტურებულ იქნა შესაბამისი კლინიკური და პარაკლინიკური გამოკვლევებით ([იხილეთ ვიდეო](#)).

ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯები სიკვდილის ფენომენის შესასწავლად. ამ მიმართულებით შემდგომი პროგრესის მიღწევა დიდად არის დამოკიდებული იმ შედეგებზე, რომლებიც სიკვდილის შესახებ წარმოებულმა სხვა კვლევებმა უნდა მოიტანონ. თუმცა ერთი ცაა, ამ თვალსაზრისით ბევრი რამ განსაზღვრული იქნება კვლევის იმ მეთოდებით, რომელთა შემუშავებაც მხოლოდ კლასიკური მეცნიერების მიდგომებით ნაკლებად შესაძლებელია. ყველა შემთხვევაში, ავტორთა სურვილია, სიკვდილის ეს „პარტიტურა“ წაკითხული იქნეს სიკვდილის შესწავლის მოწოდებად, როგორც ერთგვარი გასაღები სიცოცხლის საიდუმლოებათა ამოსახსნელად.